საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის

საბჭოს თავმჯდომარეს

ნინო ზურიაშვილს

განცხადება

2016 წლის 25 იანვარს გაზეთ „კვირის პალიტრას“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა სტატია „ტაში, ბიჭო, ვართ ანუშა!“ [1](ავტორი ეკა სალაღაია); მიგვაჩნია, რომ გაზეთ "კვირის პალიტრას“ რედაქციამ მასალის გამოქვეყნებით დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი, მესამე და მე-7 მუხლი.

მოგმართავთ, რათა ქარტიის შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით შეისწავლოთ აღნიშნული დარღვევის ფაქტი, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სტატიის სათაურით „ტაში, ბიჭო ვართანუშა!“ ჟურნალისტი ახდენს საკითხის განზოგადებას მთელ ერზე, წარმოაჩენს მას როგორც სხვისი საკუთრების მიმთვისებელს და ქმნის დისკრიმინაციულ კონტექსტს;

სტატიაში ხდება სიძულვილის გაღვივება სომეხი ერის მიმართ, რასაც ხელს უწყობს ჟურნალისტის მიერ გამოყენებული ლექსიკაც, კერძოდ:

„სამწუხაროდ, ამგვარი, ლოგიკას მოკლებული და "წყალგაუვალი მტკიცებულებებით" გამოირჩევა ზოგიერთი სომეხი საზოგადო მოღვაწე. ისინი მეტისმეტად გააქტიურდნენ ბოლო კვირაში. ჯერ იყო და "ყვავილების ქვეყანას" სომეხი ავტორები (ტექსტის ავტორი სერობ არჯემიანი, მუსიკის - მანუკ ხაჩატრიანი) გამოუჩნდნენ და ამ ცნობილი ქართული სიმღერის ჰანგზე უმღერეს ჰაიასტანს, მერე კი ქართულ სამოსში გამოწყობილმა ვართან და სირანუშ გევორქიანებმა სომხური საქორწილო ცეკვა შეასრულეს "დაისის" მუსიკაზე. ცეკვის დროს ღრმადეკოლტიანი სირანუშა მოყვარულისთვისაც კი თვალში საცემად უნიჭოდ ფარჩხავს თითებს, მისი "კდემამოსილებით" თავბრუდახვეული ვართანა კი ლამის თავზე გადაახტეს, ისე დაკუნტრუშებს სცენაზე.“

ჟურნალისტს თავად დამატებით მოჰყავს სხვა გადაუმოწმებელი ფაქტები, რითიც აძლიერებს არმენოფობიური კონტექსტს:

„შეზარხოშებულმა მასპინძლებმა სიმღერაც წამოიწყეს - ყური მივუგდე და სომხურად ნათარგმნი ჩვენი "ყვავილების ქვეყანა" შემრჩა ხელთ. ვუთხარი, ეს ხომ ქართული სიმღერაა-მეთქი? რას ლაპარაკობო, შეიცხადეს, მერე კი აქეთ მომდეს შარი, თქვენ წაიღეთ ჩვენგანო... ერთხელ ჯანსუღ ჩარკვიანისთვის უთქვამს სომეხ კოლეგას, შოთა რუსთაველი სომეხი იყო, წყალი არ გაუვაო. ბატონ ჯანსუღს უპასუხია, წარმოგიდგენია, როგორ ეჯავრებოდა მშობლიური ენა, რომ "ვეფხისტყაოსანი" ქართულად დაწერაო...“

[1] http://www.kvirispalitra.ge/public/28204.html

ჟურნალისტი ასევე ახდენს რესპონდენტის ქსენოფობიური გამონათქვამების ტირაჟირებას, რაც ხელს უწყობს საკითხის განზოგადებას მთელს ერზე, სტერეოტიპების გავრცელებას და დისკრიმინაციას, კერძოდ:

„სომხეთში არიან "ავადმყოფური ისტორიზმის" სენით შეპყრობილი მუსიკოსები, მსახიობები, მწერლები, ისტორიკოსები... ამტკიცებენ, რომ სომხები იყვნენ ლეონარდო და ვინჩი და ალექსანდრ სუვოროვი, ხოლო არარატს მომდგარი კიდობნიდან გადმოსულმა ნოემ სომხურად მიმართა ღმერთს. "ვეფხისტყაოსანიც" სომეხმა დაწერა, "სულიკო" კი აკაკი წერეთელმა სომხურიდან თარგმნა და მერე ქართველებმა დედანი დაწვეს...“

მიგვაჩნია, რომ საკითხის ასეთი გაშუქებით ჟურნალისტი არღვევს ქარტიის მე-7 მუხლს, რომელიც კერძოდ ამბობს: „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე. ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებით, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.“

ჟურნალისტს სტატიაში არ მოუხდენია ფაქტების გადამოწმება და არ დაუცავს სიზუსტის პრინციპი; სომეხი ეროვნება წარმოდგენილია როგორც მასალის ობიექტი და არა სუბიექტი. არ არის წარმოდგენილი მეორე მხარის პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისთვის (25 იანვრისთვის) მედიაში და მათ შორის გაზეთ „კვირის პალიტრაშიც“ უკვე გამოქვეყნებული იყო სომხური სიმღერის ავტორების პოზიცია [2], 24 და 25 იანვარს კი სოციალურ ქსელებში, ასევე იმ მედია-საშუალებებში, რომელმაც მანამდე “დაისის“ სომხურ ცეკვად მოხსენიების ფაქტი გააშუქეს, გავრცელდა 23 იანვარს გევორქიანების ცეკვის აკადემიის მიერ გაკეთებული განმარტება. [3]

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ჟურნალისტმა გადაუმოწმებელი ფაქტების ტირაჟირებით, ასევე ფაქტებზე მოპასუხე მხარის პოზიციის დაფიქსირებისგან თავის არიდებით დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი მუხლი, რომელიც ამბობს, რომ „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“ და მესამე მუხლი, რომლის თანახმადაც: „ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყაროც დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშნელოვანი ფაქტები, არ გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია“.

---

[2] http://www.kvirispalitra.ge/public/28166-qthqveni-simghera-ar-momiparavs-bodishs-vikhdi-rom-ase-mokhdaq-ras-amboben-somekhi-kompozitori-da-momgherali-eqskluzivi.html

[3] https://www.facebook.com/photo.php?fbid=1084953861528993&set=a.483340068357045.114669.100000431692708&type=3&theater
http://marshalpress.ge/?p=21310
http://artinfo.ge/2016/01/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94/
https://forum.ge/?f=29&showtopic=34828044

ვთვლით, რომ ასეთი გაშუქება განსაკუთრებით შემაშფოთებელია, როცა საკითხი მგრძნობიარე ჯგუფების შესახებ მომზადებულ მასალას შეეხება. ჟურნალისტი და მედია-საშუალება უნდა აცნობიერებდნენ რისკს, რომელიც ეთნიკური გრძნობებით მანიპულირებამ და თემის კონფრონტაციულ ტონალობაში ინტერპრეტირებამ შეიძლება გამოიწვიოს.

გიორგი ტუმასიანი

მშვიდობის ფონდი

თამარ ხორბალაძე

მედიის განვითარების ფონდი, MDF

ეკა ჭითანავა

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, თDI

გიორგი მშვენიერაძე

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, GDI